<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

NAPR
თორნიკე ერისთავის ქუჩა
ბებანიშვილის ქუჩა
ეკა ბეგანიშვილის ქუჩა
ვეგ გვერდი დამუშავების პროცესშია
1 : 3524
გეოგრაფიული (გრძედი, გ

ზაირა კიკვიძე

(1928 -1989)

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 9 აპრილის ტრაგედიის გმირი, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით.

დაიბადა თბილიში. დედა სოფიო (ტიციან ტაბიძის და), მამა — აბელ კიკვიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დაამთავრა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. ერთხანს იყო უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტი, ხოლო 1961 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ზაირა კიკვიძის მონაწილეობით დამუშავდა სახეთა გამოცნობის ორიგინალური მეთოდები და ალგორითმები, რომლებიც გამოყენებულია ინსტიტუტში შესრულებულ თემებში და დანერგილი იყო სხვადასხვა ორგანიზაციაში. იგი ავტორია ორმოცდაათამდე ნაშრომისა.

1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს. დაკრძალეს 15 აპრილს თბილისში საბურთალოს სასაფლაოზე.

2014 წლის 9 აპრილს, ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა ოჯახის წევრებს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცა.